

შპს "ინტერბიზნესის კოლეჯის" სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. წინამდებარე დებულება, შპს "ინტერბიზნესის კოლეჯის" (შემდგომში - კოლეჯი) მიერ სასწავლო პროცესის ორგანიზების პროცედურულ საკითხებს, ადგენს სასწავლო პროცესის მონაწილეთა ურთიერთვალდებულებებსა და განსაზღვრავს კოლეჯის აკადემიური საქმიანობის ერთიან მარეგულირებელ ნორმებს.
2. კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი (შემდგომში-წესი) შესასრულებლად სავალდებულოა კოლეჯის სასწავლო პროცესის ყველა მონაწილის - პროფესორ-მასწავლებელთა პერსონალისა და სტუდენტებისათვის, აგრეთვე სასწავლო პროცესის განხორციელების ხელშემწყობი ადმინისტრაციული პერსონალისათვის.

მუხლი 2. სწავლების ენა

1. კოლეჯში სწავლება ხორციელდება ქართულ ენაზე.

მუხლი 3. კოლეჯში სტუდენტის სტატუსის მოპოვება

1. კოლეჯის მიერ განხორციელებულ უმაღლესი განათლების პირველ საფეხურზე (ბაკალავრიატი) სტუდენტის სტატუსის მოპოვება ხორციელდება მხოლოდ ერთიანი ეროვნული გამოცდების საფუძველზე საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
2. კოლეჯის სტუდენტის სტატუსის მოპოვებისათვის ბაკალავრიატის სწავლების საფეხურზე პირი ვალდებულია გაიაროს ერთიანი ეროვნული გამოცდების საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით დადგენილი წესის შესაბამისად და აბიტურიენტთა ქულების რანჟირების დოკუმენტის საფუძველზე მოიპოვოს კოლეჯში ჩარიცხვის უფლება.3. კოლეჯში ჩარიცხვის უფლების მოპოვების შემდეგ, მაგრამ არაუგვიანეს კოლეჯის მიერ ადმინისტრაციული რეგისტრაციისათვის დადგენილ ვადაში აბიტურიენტი ვალდებულია მიმართოს კოლეჯს განცხადებით ჩარიცხვის თაობაზე.
4. სტუდენტის განცხადების და სტუდენტთან დადებული სასწავლო ხელშეკრულების საფუძველზე კოლეჯის დირექტორი გამოსცემს ბრძანებას კოლეჯში სტუდენტების ჩარიცხვის შესახებ.
5. კოლეჯის დირექტორის ბრძანება სტუდენტების ჩარიცხვის თაობაზე იგზავნება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში.
6. აბიტურიენტი რომელიც ადმინისტრაციული რეგისტრაციის ვადის ამოწურვამდე არ მიმართავს კოლეჯს ადმინისტრაციული რეგისტრაციის გასაავლელად, ვერ მოიპოვებს კოლეჯის სტუდენტის სტატუსს და კარგავს ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლით მინიჭებულ ყველა უფლებას.
7. აბიტურიენტი, რომელიც ადმინისტრაციული რეგისტრაციისათვის განსაზღვრულ ვადებში არ წარმოადგენს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელ საგანმანათლებლო დოკუმენტს ან სამხედრო გაწვევას დაქვემდებარებული აბიტურიენტი, რომელიც არ წარმოადგენს სამხედრო მიწერის მოწმობას, შესაძლებელია ჩაირიცხოს კოლეჯში მხოლოდ აღნიშნული დოკუმენტაციის კოლეჯის მიერ

დადგენილ ვადაში წარმოდგენის პირობით. დოკუმენტების წარმოდგენლობის შემთხვევაში, ჩარიცხვის ბრძანება უქმდება შესაბამისი აბიტურიენტის ჩარიცხვის ნაწილში.

მუხლი 4.

კოლეჯში სტუდენტის სტატუსის მოპოვება საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე უცხოქვეყნის მოქალაქე, მოქალაქეობის არმქონე ან საქართველოს მოქალაქე (რომელიც არანაკლებ ბოლო 2 წლის განმავლობაში არ ცხოვრობენ საქართველოში) აბიტურიენტებისათვის/სტუდენტებისათვის

1. კოლეჯში საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვს:

ა) აბიტურიენტებს, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება და სრული ზოგადი განათლების ბოლო 2 წელი ისწავლეს უცხო ქვეყანაში;

ბ) სტუდენტებს, რომლებიც უცხო ქვეყანაში ცხოვრობდნენ ბოლო 2 ან მეტი წლის განმავლობაში და სწავლობენ უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

2. კოლეჯში ჩარიცხვის მსურველი ამ მუხლით განსაზღვრული აბიტურიენტი მიმართავს კოლეჯს, რომელიც ჩატარებული გასაუბრების საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას მისი კოლეჯში ჩარიცხვის მიზანშეწონილობის თაობაზე და საკითხის დადებითად გადაწყვეტის შემთხვევაში, გასცემს თანხმობის წერილს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში წარსადგენად.

3. კოლეჯი უფლებამოსილია მოსთხოვოს აბიტურიენტს მისი საგანმანათლებლო დოკუმენტის ფორმალური ცნობა/აღიარება, ლეგალიზაცია ან/და აპოსტილით დამოწმება.

4. კოლეჯის თანხმობის მიღების შემთხვევაში, აბიტურიენტი ვალდებულია მიმართოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის გადაწყვეტილების საფუძველზე მოიპოვოს კოლეჯში ჩარიცხვის უფლება.

5. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის გადაწყვეტილების გამოცემის შემდეგ გამოიცემა კოლეჯის დირექტორის ბრძანება აბიტურიენტის კოლეჯში ჩარიცხვის თაობაზე.

მუხლი 5. მობილობის ზოგადი წესი

1. მობილობის (საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან გადაყვანის წესით ჩარიცხვის) უფლება აქვს სტუდენტს, რომელიც კანონმდებლობით დადგენილი წესით ჩაირიცხა საქართველოს აკრედიტებულ/აღიარებულ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებაში, იმ შემთხვევაში, თუ მას გავლილი აქვს სწავლების ერთი წელი.

2. ამ წესის მე-3 მუხლით განსაზღვრული პირი მობილობის განხორციელებისათვის ვალდებულია მოიპოვოს კოლეჯში ჩარიცხვის უფლება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაწყვეტილების საფუძველზე, ამ წესის მე-3 მუხლით დადგენილი წინაპირობების დაცვით.

მუხლი 6. მობილობის პროცედურა

1. მობილობის განხორციელებისათვის კოლეჯი განსაზღვრავს თავისუფალი ადგილების რაოდენობას, რომელზედაც შესაძლებელია მობილობით სტუდენტების მიღება.

2. თავისუფალი ადგილების რაოდენობის გამოთვლისას კოლეჯისათვის განსაზღვრული ადგილების მაქსიმალურ რაოდენობას აკლდება დაწესებულებაში რიცხული სტუდენტების რაოდენობა, ერთიანი ეროვნული გამოცდებით სტუდენტების მისაღებად გამოცდების ეროვნულ ცენტრში რეგისტრირებული სტუდენტების რაოდენობა და ემატება დაწესებულებაში არსებული კურსდამამთავრებელი სტუდენტების რაოდენობა.

3. მობილობის ვაკანსიები ფაკულტეტებისა და საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისად ქვეყნდება კოლეჯის ვებ-გვერდზე და სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრის ელექტრონულ პორტალზე.

4. მობილობის გამოცხადების შემდეგ, კოლეჯის დირექტორი ადგენს ვადას, რომელშიც უნდა განხორციელდეს მობილობის მსურველთა მიერ დოკუმენტაციის კოლეჯში წარმოდგენა, მათ მიერ ელექტრონული რეგისტრაციის გავლის პარალელურად.

5. მობილობის მსურველს ევალება წარმოადგინოს კოლეჯში ყველა ის დოკუმენტი, რომელიც სავალდებულოა ბაკალავრიატის საფეხურის სტუდენტის კოლეჯში ჩარიცხვისათვის, ასევე, მობილობის მსურველის მიერ გავლილი საგანმანათლებლო პროგრამის აღიარების მოთხოვნის შემთხვევაში, მობილობის მსურველს მოეთხოვება აკადემიური ცნობის, ხოლო საჭიროების შემთხვევაში - დამატებითი დოკუმენტაციის (კურიკულუმი, სილაბუსი) წარმოდგენა.

6. კოლეჯი იხილავს სტუდენტის პირად საქმეს და იღებს გადაწყვეტილებას მობილობის მსურველი მიერ გავლილი პროგრამის აღიარების შესახებ ამ წესით დადგენილი პროცედურების დაცვით.

მუხლი 7. მობილობის შედეგები

1. მობილობის მსურველი მოიპოვებს კოლეჯში ჩარიცხვის უფლებას სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ მის ჩარიცხვაზე გაცემული დადებითი დასკვნის შემთხვევაში.

2. მობილობით სტუდენტების ჩარიცხვის თაობაზე კოლეჯის დირექტორი გამოსცემს ერთიან ბრძანებას, რომელიც სტუდენტის მობილობით ჩარიცხვის შესახებ გამოიცემა 1 ოქტომბრამდე შემოდგომის ან 1 მარტამდე გაზაფხულის სემესტრში. ბრძანება გამოცემიდან 7 დღის ვადაში იგზავნება ცენტრში და შესაბამისი სტუდენტის მობილობა აისახება რეესტრში.

3. მობილობასთან დაკავშირებით პროცედურები, რომელიც არ განისაზრება ამ წესით რეგულირდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის ბრძანებით №10/ნ „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის დამტკიცების შესახებ“.

მუხლი 8. სტუდენტის სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის ცნება

1. სტუდენტის სტატუსის შეჩერება არის სტუდენტისა და კოლეჯს შორის განთავისუფლება სასწავლო პროცესით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობების ერთმანეთის მიმართ შესრულებისაგან, რომელიც გამოწვეულია შესაბამისი მოვალეობების შეუსრულებლობით ან შესრულების მომავალი შეუძლებლობით. სტუდენტის სტატუსის შეჩერება ატარებს დროებით ხასიათს და წყდება მხარეთა შეთანხმების საფუძველზე, რასაც შედეგად მოსდევს პირის სტუდენტის უფლებებში სრული აღდგენა.

2. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა არის პირისათვის სტუდენტის სტატუსით მინიჭებული ყველა უფლება-მოვალეობებისგან განთავისუფლება, მის მიერ სწავლის შედეგების მიღწევის შეუძლებლობის, სტუდენტისათვის შეუფერებელი ქმედების ჩადენის ან კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შედეგად პირი ვერ ისარგებლებს სტუდენტის არც ერთი უფლებით, ხოლო მის მიერ სწავლის პერიოდში მოპოვებული განათლების აღიარებისათვის აუცილებელია სტუდენტის სტატუსის ხელახლა მოპოვება.

მუხლი 9. სტუდენტის სტატუსის შეჩერების წესი

1. პირისათვის სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძველი და სტუდენტის სტატუსის შეჩერების მაქსიმალური ვადაა:

- ა) პირადი განცხადება - სტუდენტის მოთხოვნილი ვადით, არაუმეტეს 5 წლის ვადით;
- ბ) ფინანსური დავალიანება - დავალიანების დაფარვამდე, თუმცა არაუმეტეს 5 წლის ვადით;
- გ) საზღვარგარეთ სასწავლებლად წასვლა - სწავლის გეგმიური ვადით;
- დ) ავადმყოფობა ან სხვა დაუძლეველი ძალა, რომელიც შეუძლებელს ხდის პირის სტუდენტურ ცხოვრებაში ჩართულობას - შესაბამისი გარემოებების არსებობის ვადით.

2. სტუდენტის სტატუსის შეჩერება ფორმდება კოლეჯის დირექტორის ბრძანებით. სტუდენტის სტატუსის შეჩერება უნდა დაფიქსირდეს შესაბამის რეესტრში.

3. სტუდენტის ინიციატივით სტატუსის შეჩერების მოთხოვნის საფუძველია სტუდენტის განცხადება კოლეჯის დირექტორის სახელზე, ხოლო კოლეჯის ინიციატივით სტუდენტისათვის სტატუსის შეჩერების საკითხის დაყენებისას სტუდენტი ჩართული უნდა იყოს აღნიშნული საკითხის გადაწყვეტაში.

4. სტუდენტის სტატუსის შეჩერების დროის განმავლობაში, კოლეჯი და სტუდენტი თავისუფლდებიან ურთიერთსანაცვლო უფლება-მოვალეობების შესრულებისაგან, გარდა იმ უფლებებისა და მოვალეობებისა, რომლებიც წარმოიშვა სტატუსის შეჩერებამდე.

5. სტუდენტის სტატუსის შეჩერებული პირი სარგებლობს სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის (მობილობის) უფლებით.

6. იმ შემთხვევაში, თუ ის საგანმანათლებლო პროგრამა, რომელზედაც ირიცხებოდა სტუდენტი მისთვის სტატუსის შეჩერებამდე გაუქმებულია, ან შეცვლილია მისთვის სტუდენტის სტატუსის აღდგენის მომენტისათვის, სტუდენტი უფლებამოსილია სწავლა გააგრძელოს ყველაზე მსგავსი საგანმანათლებლო პროგრამით ან გადავიდეს სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

7. სტუდენტის სტატუსის შეჩერებიდან 5 წლის გასვლის შემთხვევაში პირს უწყდება სტუდენტის სტატუსი.

8. სტუდენტის სტატუსის შეჩერებასთან დაკავშირებული პროცედურები, რომელიც ამ წესით არ გაისაზღვრება რეგულირდება კოლეჯის დირექტორის ბრძანებით, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს მოქმედ კანონმდებლობას და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის ბრძანებას №10/ზ „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის დამტკიცების შესახებ“.

მუხლი 10. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის წესი

1. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველია:

- ა) სტუდენტის სტატუსის აღუდგენლობა სტუდენტის სტატუსის შეჩერების მომენტიდან 5 კალენდარული წლის განმავლობაში.
- ბ) სწავლის შედეგების მიღწევის შეუძლებლობა, რაც განისაზღვრება შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმით;
- გ) სტუდენტისათვის შეუთავსებელი ქმედების ჩადენა რაც შესაძლებელია გამოვლინდეს:
 - გ.ა.) სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემას დანაშაულისათვის, რომელიც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას;
 - გ.ბ.) პლაგიატი (სხვის მიერ შესრულებული ნაშრომის წარმოდგენა)

გ.გ.) კოლეჯის, მისი პერსონალისა და სტუდენტებისათვის შეურაცხყოფის ან სხვა სახის ზიანის განზრახ და უხეში ფორმებით მიყენება, კოლეჯის შინაგანაწესისა ან სხვა სამართლებრივი აქტის დარღვევა იმდაგვარად, რომ საფრთხე შეექმნა სასწავლო პროცესის სხვა მონაწილეებს;

გ.დ.) ყალბი ან არასწორი ინფორმაციის შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენა;

დ) ფინანსური დავალიანება.

2. სტუდენტს, რომლის მიმართაც მიმდინარეობს სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის თაობაზე წარმოება, ვალდებულია ინფორმირებული იყოს აღნიშნულის შესახებ და მიეცეს საკუთარი მოსაზრებების, ახსნა-განმარტების და მტკიცებულებების წარმოდგენის შესაძლებლობა.

3. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა ფორმდება კოლეჯის დირექტორის დასაბუთებული ბრძანებით და წარმოადგენს სტუდენტთან დადებული ხელშეკრულების მოშლას, რაც არ ანთავისუფლებს მხარეებს ხელშეკრულების მოშლამდე წარმოშობილი და შეუსრულებელი ურთიერთვალდებულებების შესრულებისგან.

4. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა სამართლებრივ შედეგებს წარმოშობს შესაბამისი სამართლებრივი აქტის გამოცემიდან 6 თვის შემდეგ, რა ვადაშიც პირი უფლებამოსილია გაასაჩივროს აღნიშნული გადაწყვეტილება ან ისარგებლოს მობილობის უფლებით.

5. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა და სასწავლო ხელშეკრულების მოშლა საჩივრდება სასამართლოში კანონმდებლობით დადგენილი წესით, კოლეჯის ადგილმდებარეობის მიხედვით.

6. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტასთან დაკავშირებული პროცედურები, რომელიც ამ წესით არ გაისაზღვრება რეგულირდება კოლეჯის დირექტორის ბრძანებით, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს მოქმედ კანონმდებლობას და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის ბრძანებას №10/ნ „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის დამტკიცების შესახებ“.

მუხლი 11. სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემის ზოგადი აღწერა.

1. სტუდენტის სასწავლო პროცესში თითოეული სტუდენტის აკადემიური დატვირთვის ასახვისათვის, რომელიც სტუდენტს ესაჭიროება სასწავლო პროგრამის მიზნების მისაღწევად, კოლეჯი იყენებს ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული საკრედიტო სისტემას (ECTS).

2. კოლეჯის საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებული სტუდენტთა ცოდნის შეფასების სისტემა შემუშავებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის“ რეკომენდაციებს.

მუხლი 12. სტუდენტის სასწავლო საქმიანობა

1. სტუდენტის დატვირთვა მოიცავს:

ა) ლექციაზე დასწრებას, სამუშაო ჯგუფში მუშაობას, პრაქტიკულ მეცადინეობას;

ბ) დამოუკიდებელ მეცადინეობას;

გ) პროფესიულ პრაქტიკას;

დ) გამოცდების მომზადება-ჩაბარებას;

2. სტუდენტთა საქმიანობის შესაფასებლად გამოიყენება კრედიტი – ერთეული, რომელიც გამოხატავს სტუდენტის მიერ ერთი საგნის ასათვისებლად შესასრულებელი სამუშაოს მოცულობას, გამოხატულს დროის ერთეულში – საათებში.

3. საკრედიტო სისტემის შესაბამისად სტუდენტის დატვირთვა ერთი აკადემიური წლის განმავლობაში მოიცავს საშუალოდ 60 კრედიტს, ხოლო ერთი კრედიტი მოიცავს სტუდენტის სასწავლო საქმიანობას (სტუდენტის დატვირთვა) 25 ასტრონომიული საათს, რაც შეესაბამება სასწავლო საქმიანობის 1500 ასტრონომიულ საათს ერთი სასწავლო წლის განმავლობაში.
4. კრედიტების განაწილება ხდება საგანმანათლებლო პროგრამის ყველა კომპონენტს შორის. კრედიტი ასახავს სამუშაოს იმ რაოდენობას, რომელიც საჭიროა ამა თუ იმ კომპონენტის დასასრულებლად და სწავლის შედეგების მისაღწევად და მოიცავს როგორც სტუდენტის მიერ ორგანიზებულ გარემოში გატარებულ თეორიულ და პრაქტიკულ მუშაობას (საკონტაქტო საათები) ასევე სტუდენტის მიერ ინდივიდუალურ მუშაობას (დამოუკიდებელი მუშაობის საათები).
5. კრედიტი არ შეიძლება იქნეს გაანგარიშებული მხოლოდ სტუდენტის მიერ პროფესორ-მასწავლებლებთან სასწავლო გარემოში გატარებული საათების (საკონტაქტო საათების) მიხედვით.
6. სტუდენტის წლიური დატვირთვა არ შეიძლება იყოს 75 კრედიტზე მეტი;

მუხლი 13. კოლეჯის აკადემიური წელი

1. სასწავლო – აკადემიური წელი მოიცავს 38 კვირას, რომელიც თავის თავში ასევე მოიცავს სესიების ჩატარებას.
2. სალექციო პერიოდი შეადგენს 15 კვირას, რომელშიც გათვალისწინებულია სასწავლო კურსით შემადგენელი ლექცია-სემინარების ჩატარებისათვის.
3. სტუდენტის დატვირთვა ერთი აკადემიური წლის განმავლობაში მოიცავს საშუალოდ 60 კრედიტს, რაც შეესაბამება სასწავლო საქმიანობის 1500 ასტრონომიულ საათს, ხოლო ერთი კრედიტი მოიცავს სტუდენტის სასწავლო საქმიანობას 25 ასტრონომიული საათის განმავლობაში.
4. აკადემიური წელი არის ორ სემესტრიანი. ერთი სემესტრის ხანგრძლივობა შეადგენს 19 კვირას; რომელთაგან 15 არის სასწავლო, ხოლო 4 სასესიო.
5. სასწავლო კვირები ეთმობა ლექცია-სემინარებს, ხოლო სასესიო კვირები – კონსულტაციებს, შუასემესტრულ შეფასებებს და დასკვნითი გამოცდების წარმოებას.
6. კოლეჯის სასწავლო პროცესის ორგანიზებას (მართვას) ახორციელებენ: კოლეჯის დირექტორი, შესაბამისი ფაკულტეტები და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.
7. აკადემიური პერსონალი და მოწვეული ლექტორი ვალდებულია სწავლება და სტუდენტთა შეფასება განახორციელოს შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამითა და სასწავლო კურსის სილაბუსის საფუძველზე.
8. კოლეჯი სტუდენტის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული პრაქტიკული კომპონენტების უკეთ ათვისების უზრუნველსაყოფად აფორმებს ხელშეკრულებებს საქართველოს ბაზარზე არსებულ ბიზნეს კომპანიებთან და ასევე საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლობებთან.

მუხლი 14. სტუდენტთა შეფასება

1. კრედიტის დაგროვება შესაძლებელია მხოლოდ სტუდენტის მიერ სილაბუსით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც გამოიხატება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის #3 ბრძანებით დამტკიცებული “უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის” 4.7 მუხლის “ა” ქვეპუნქტით დადგენილი ერთ-ერთი დადებითი შეფასებით.

2. დაუშვებელია სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად – მხოლოდ დასკვნითი გამოცდის საფუძველზე შეფასება.
3. სტუდენტის მიერ სწავლების პერიოდში გაწეული შრომის შეფასება გარკვეული შეფარდებით უნდა ითვალისწინებდეს:
 - ა) შუალედურ შეფასებებს;
 - ბ) დასკვნითი გამოცდის შეფასებას.
4. სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია.
5. დასკვნითი გამოცდა არ უნდა შეფასდეს 40 ქულაზე მეტით.
6. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულის გათვალისწინებით უგროვდება 51 ქულა.
7. სტუდენტის შეფასება წინამდებარე წესით გათვალისწინებული კომპონენტებით ხორციელდება ყოველ სემესტრულად.
8. სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასებაა 100 ქულა, რომელიც უტოლდება საბოლოო შეფასების 100%-ს.
9. სტუდენტის შეფასება განისაზღვრება შეფასების სისტემით, რომელიც გამომდინარეობს და შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებული “უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესით” დადგენილ შეფასების საერთო სისტემას.
10. კოლეჯის შეფასების სისტემა უშვებს ხუთი სახის დადებით და ორი სახის უარყოფით შეფასებას.
11. დადებით შეფასებას განეკუთვნება:
 - ა) (A) ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;
 - ბ) (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%;
 - გ) (B) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%;
 - დ) (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%;
 - ე) (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%;
12. უარყოფით შეფასებას განეკუთვნება:
 - ა) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.
 - ბ) (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40%-ზე და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.
13. სწავლების პერიოდში სტუდენტის შეფასება წარმოებს მთელი სასწავლო სემესტრის განმავლობაში. შესაბამისად, სტუდენტის საბოლოო შეფასება წარმოადგენს მთელი სწავლების პერიოდში, მათ შორის შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის შეფასების ჯამს.
14. დასკვნითი გამოცდის შეფასება ხდება 40 ქულით;
15. დანარჩენი 60 ქულა ნაწილდება შუალედური შეფასებების მიხედვით, შემდეგი პირობების დაცვით:
 - ა) I შუალედური გამოცდა – 20 ქულა;
 - ბ) II შუალედური გამოცდა – 20 ქულა ;
 - გ) დასკვნითი გამოცდა – 40 ქულა;
 - დ) დარჩენილ 20%-ის გადანაწილებაში ლექტორს/პროფესორს ენიჭება სრული თავისუფლება;
16. სტუდენტი დასკვნით გამოცდის გადასაბარებლად გადის სემესტრის დამთავრებიდან 10 დღის შემდეგ.

17. გამოცდა საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე შეიძლება ჩატარდეს სხვადასხვა ფორმატით. ტესტურად (ღია და დახურული კითხვებით), ზეპირი/ წერილი სახით.

ტესტში დახურულ კითხვას მინიჭებული აქვს 1 ქულა, ხოლო ღია კითხვას - 2 ქულა.

18. ზეპირი გამოცდა ტარდება საკითხებით და თითოეულ საკითხს მინიჭებული აქვს მაქსიმუმ 10 ქულა.

ა) 9-10 ქულა: პასუხი სრულია; საკითხი ზუსტად და ამომწურავად არის გადმოცემული; ტერმინოლოგია დაცულია. სტუდენტი ზედმიწევნით კარგად ფლობს პროგრამით გათვალისწინებულ განვლილ მასალას, ღრმად და საფუძვლიანად აქვს ათვისებული როგორც ძირითადი, ისე დამხმარე ლიტერატურა.

ბ) 7-8 ქულა: პასუხი სრულია, მაგრამ შეკვეცილი, ტერმინოლოგიურად გამართულია; საკითხი ამომწურავად არის გადმოცემული; არსებითი შეცდომა არ არის; სტუდენტი კარგად ფლობს განვლილ მასალას; ათვისებული აქვს ძირითადი ლიტერატურა.

გ) 5-6 ქულა: პასუხი არასრულია; საკითხი დამაკმაყოფილებლად არის გადმოცემული, ტერმინოლოგია ნაკლოვანია; სტუდენტი ფლობს პროგრამით გათვალისწინებულ მასალას, მაგრამ აღინიშნება მცირეოდენი შეცდომები.

დ) 3-4 ქულა: პასუხი არასრულია; ტერმინოლოგია მცდარია; საკითხის შესაბამისი მასალა გადმოცემულია ნაწილობრივ; სტუდენტს საკმარისად აქვს ათვისებული ძირითადი ლიტერატურა; აღინიშნება რამდენიმე არსებითი შეცდომა.

ე) 1-2 ქულა: პასუხი ნაკლოვანია; ტერმინოლოგია არ არის გამოყენებული, ან არის შესაბამისი; პასუხი არსებითად მცდარია. გადმოცემულია საკითხის შესაბამისი მასალის მხოლოდ ცალკეული ფრაგმენტები.

ვ) 0 ქულა: პასუხი საკითხის შესაბამისი არ არის ან საერთოდ არაა მოცემული.

19. წერილი გამოცდის შეფასება ხდება საკითხებით. თითოეულ საკითხს მინიჭებული აქვს მაქსიმუმ 20 ქულა.

ა) 19-20 ქულა ზედმიწევნით ფლობს პროგრამით გათვალისწინებულ ყველა საკითხს. აქვს დამოუკიდებელი და შემოქმედებითი აზროვნების უნარი, შეუძლია ნებისმიერი საპროგრამო მასალის გადმოცემა ამომწურავად პროფესიულ ენაზე,

ბ) 15-18 ქულა - ერკვევა პროგრამით გათვალისწინებულ ყველა საკითხში, აქვს საგანში დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, შეუძლია ნებისმიერი საპროგრამო მასალის გადაცემა;

გ) 10-14 ქულა ერკვევა პროგრამით გათვალისწინებული საკითხების მნიშვნელოვან ნაწილში; შეუძლია საპროგრამო მასალის გადმოცემა, ათვისებული აქვს ძირითადი ლიტერატურის მნიშვნელოვანი ნაწილი;

დ) 3-9 ქულა - პროგრამით გათვალისწინებული საკითხების ნახევარზე მეტის გადმოცემა შეუძლია დამაკმაყოფილებლად, ძირითადი ლიტერატურის მნიშვნელოვანი ნაწილი სუსტად აქვს დამუშავებული;

ე) 0-3 ქულა - პროგრამით გათვალისწინებული საკითხებიდან არც ერთი არ არის განხილული დამაკმაყოფილებლად.

20. საწარმოო პრაქტიკის ანგარიშის შეფასება ხდება ქულათა სისტემით. მაქსიმალური შეფასება შეადგენს 100 ქულას, დადებითი შეფასების მინიმალური ზღვარია 51 ქულა.

21. საწარმოო პრაქტიკის ანგარიშის შემადგენელი ნაწილები და შეფასების კრიტერიუმებია:

ა. თავფურცელი და რეზიუმე - 10 ქულა

- გაფორმებულია შესაბამისად;

- რეზიუმე სრულად ასახავს საწარმოო პრაქტიკის მიზნებსა და შედეგებს;

ბ. საწარმოო პრაქტიკის გავლის ადგილის/დაწესებულების დახასიათება/აღწერა - 20 ქულა

- ქმნის მკაფიო წარმოდგენას საწარმოს საქმიანობაზე;

გ. საწარმოო პრაქტიკის პროცესში განხორციელებული საქმიანობის ანალიზი - 30 ქულა

- განხორციელებული საქმიანობა შეესაბამება პრაქტიკის მიზნებს;

- შესაბამისი მაგალითების საფუძველზე აფიქსირებს მიღწეულ შედეგებს ;

- კომპეტენციების განვითარება შეფასებულია კრიტიკულად;

- ტექსტი ლოგიკურად არის ჩამოყალიბებული.

დ. დასკვნები და რეკომენდაციები - 20 ქულა

- არგუმენტირებულია.

ე. დანართი - 10 ქულა

- რელევანტურია;

- ნათლადაა გადმოცემული
- ვ. პრეზენტაცია - 10 ქულა
- თანმიმდევრულია
- შესაბამისად გაფორმებულია.

მუხლი 15. საგანმანათლებლო პროგრამის მიღების, შეცვლისა და გაუქმების წესი

1.კოლეჯის საგანმანათლებლო პროგრამის პროექტს კოლეჯის მიერ შემუშავებული მოთხოვნების შესაბამისად უზრუნველყოფს კოლეჯის აკადემიური საბჭო, რომელი დასკვნისათვის წარედგინება კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, რომელიც ადგენს პროგრამის პროექტის შესაბამისობას კანონმდებლობის მოთხოვნებთან, პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების დისციპლინების ადექვატურობას პროგრამის მიზნებთან და სწავლების შედეგებთან.ამ პროცედურების გავლის შემდეგ აკადემიური საბჭო წარუდგენს საგანმანათლებლო პროგრამებს კოლეჯის დირექტორს.

2.აკადემიური საბჭოს მიერ წარდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის პროექტი მტკიცდება კოლეჯის დირექტორის მიერ.

3.საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებების განხორციელება წარმოებს ამ მუხლით გათვალისწინებული პროცედურით.

4.პროგრამის შეცვლის შემთხვევაში, კოლეჯი უზრუნველყოფს თითოეული სტუდენტისათვის შესაბამისობების განსაზღვრას არსებული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში გავლილი და ახალი საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო დისციპლინებს შორის, ასევე საჭიროების შემთხვევაში, სტუდენტისათვის ინდივიდუალური საგანმანათლებლო პროგრამით სწავლის შესაძლებლობას.

5.შეცვლილ საგანმანათლებლო პროგრამისათვის სტუდენტთან შეთანხმებით დგება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა.

6.დამატებით სემესტრში ინდივიდუალური გეგმით სწავლებისას სტუდენტი განთავისუფლებულია სწავლის გადასახადისგან.

7.იმ შემთხვევაში თუ სტუდენტს სურვილი აქვს სწავლა განაგრძოს სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებში, კოლეჯი უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის მიღებად რეჟიმში სწავლებას, ყველა მსურველის გადაყვანის პროცესის დასრულებამდე.

8.საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმება შესაძლებელია:

- ა) იმ შემთხვევაში, თუ შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამაზე არ ირიცხება არც ერთი სტუდენტი,
- ბ) საგანმანათლებლო პროგრამა აღარ შეესაბამება კანონმდებლობის მოთხოვნებს;
- გ) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება არ შეესაბამება კოლეჯის მისიას;
- დ)კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევაში.

9.ამ მუხლის მე-7 პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტების საფუძველზე პროგრამის გაუქმების შემთხვევაში, კოლეჯი ვალდებულია პროგრამის გაუქმებამდე მოახდინოს სტუდენტების ინფორმირება და დეტალურად გააცნოს მათ ინფორმაცია მსგავსი საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და მობილობის პროცედურის ყველა აუცილებელი ასპექტის შესახებ.

10.კოლეჯი ვალდებულია ხელი შეუწყოს სტუდენტის მიერ გავლილი აკადემიური დისციპლინების მაქსიმალური მოცულობით აღიარებას, რისთვისაც უფლებამოსილია გააფორმოს შეთანხმება სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებისათვის კოლეჯში გავლილი პროგრამის სასწავლო კომპონენტების აღიარების თაობაზე.

11.სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები დეტალურად უნდა განისაზღვროს საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმებასთან დაკავშირებით მიღებული დირექტორის სამართლებრივი აქტით.

მუხლი 16. ზოგადი მოთხოვნები საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებაში

1. საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები აღიწერება დარგობრივი და ზოგადი კომპეტენციებით, რომელიც ასახავს სტუდენტის მიერ გამომუშავებულ ინტერდისციპლინარულ (კომუნიკაცია, კრიტიკული აზროვნება, დასკვნის გაკეთება, ჯგუფში მუშაობა და ლიდერობა) ასევე პროფესიულ (ცოდნა და გაცნობიერება, ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება და სხვა).

2. პროგრამების შედეგების აღწერისას გამოიყენება უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოთი ჩამოყალიბებული დარგობრივი და ზოგადი შედეგები:

- ა) ცოდნა და გაცნობიერება;
- ბ) ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი;
- გ) დასკვნის გაკეთების უნარი;
- დ) კომუნიკაციის უნარი;
- ე) სწავლის უნარი;
- ვ) ღირებულებები;

მუხლი 17. საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსი

1.კოლეჯის საგანმანათლებლო პროგრამაში მიეთითება:

- ა) პროგრამის სახელწოდება;
- ბ) უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური;
- გ) საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი;
- დ) მისანიჭებელი კვალიფიკაცია;
- ე) პროგრამის მოცულობა კრედიტებით;
- ვ) სწავლების ენა;
- ზ) საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი;
- თ) სფეროს აღწერა;
- ი) საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, რომელიც მიმართულია სტუდენტის
- კ) კომპეტენციების გამომუშავებასა და დასაქმების სფეროს განსაზღვრაზე;
- ლ) პროგრამაზე დაშვების წინაპირობა;
- მ) სწავლის შედეგი;
- ნ) დასაქმების სფერო;
- ო) სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა;
- პ) სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები;
- ჟ) სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა;
- რ) სასწავლო გეგმა, სწავლების ორგანიზების თავისებურებების მითითებით.

2. პროგრამას თან უნდა ახლდეს:

- ა) სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები);
- ბ) ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური და მატერიალური რესურსის შესახებ;
- გ) პროგრამის დამტკიცების აქტი.

მუხლი 18. სასწავლო გეგმა და სილაბუსი

1. კოლეჯის საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმა მოიცავს ყველა კომპონენტს, რომელშიც ხდება კრედიტების მინიჭება.

2. კომპონენტის მითითებისას აღინიშნება:

- ა) სახელწოდება;
- ბ) სასწავლო კურსის/მოდულის სტატუსი;
- გ) ავტორი;
- დ) კრედიტების რაოდენობა და საათების განაწილება სტუდენტის დატვირთვის შესაბამისად;
- ე) სასწავლო კურსის მოდულის მიზნები
- ვ) დაშვების წინაპირობები;
- ზ) სწავლებისა და სწავლის მეთოდები;
- თ) შეფასების კრიტერიუმები;
- ი) შინაარსი;
- კ) სწავლების/სწავლის მეთოდები;
- ლ) ძირითადი და დამხმარე ლიტერატურა
- მ) სწავლი შედეგები;

3. სასწავლო გეგმაში მითითებული არჩევითი საგნების კრედიტების რაოდენობის ჯამი აღემატება არჩევითი საგნებისათვის პროგრამით გათვალისწინებულ კრედიტების საერთო რაოდენობას.

4. სასწავლო გეგმას დართული აქვს სწავლის შედეგების რუკა, რომელიც მოიცავს პროგრამის ყველა კომპონენტს და მათ ურთიერთმიმართებას პროგრამით გათვალისწინებულ კომპეტენციებთან.

5. სასწავლო კურსის პროგრამა (სილაბუსი) იქმნება შესაბამისი სასწავლო დისციპლინის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალის მიერ, სასწავლო კურსის შინაარსისა და სილაბუსის ავტორისათვის მინიჭებული აკადემიური თავისუფლების გათვალისწინებით.

კოლეჯის სილაბუსში მიეთითება:

- ა) სასწავლო კურსის სახელწოდება;
- ბ) ავტორი;
- გ) სასწავლო კურსის/მოდულის მიზნები;
- დ) კრედიტების რაოდენობა და საათების განაწილება სტუდენტის დატვირთვის შესაბამისად;

- ე) დაშვების წინაპირობები;
 - ვ) სწავლის შედეგები;
 - ზ) შინაარსი;
 - თ) სწავლების/სწავლის მეთოდები;
 - ი) შეფასების კრიტერიუმები;
 - კ) ძირითადი და დამხმარე ლიტერატურა.
6. სტუდენტის საქმიანობა (დატვირთვა) შეიძლება მოიცავდეს:
- ა) ლექციაზე დასწრებას, სამუშაო ჯგუფში მუშაობას, პრაქტიკულ ან ლაბორატორიულ მეცადინეობას;
 - ბ) დამოუკიდებელ მეცადინეობას;
 - გ) სასწავლო, შემოქმედებით ან საწარმოო პრაქტიკას;
 - დ) გამოცდების მომზადება-ჩაბარებას;
 - ე) სხვა დატვირთვას, რომლითაც მიიღწევა სწავლის შედეგები.

მუხლი 19. საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება

1. საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება ხორციელდება წელიწადში ორჯერ – ყოველი სემესტრის ბოლოს კოლეჯის დირექტორის მიერ ბრძანებით დამტკიცებული ფორმის შესაბამისად.
2. საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებას ახორციელებენ სტუდენტები.
3. საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების ფარგლებში დგინდება არამართო საგანმანათლებლო პროგრამის პროდუქტიულობა, არამედ მისი განხორციელების მექანიზმების სისწორე და მისაღებობა სტუდენტების მხრიდან.
4. საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების ფარგლებში ჩატარებული გამოკითხვის შედეგების სანდოობის უზრუნველსაყოფად გამოკითხვა ატარებს ანონიმურ ხასიათს.
5. საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების გამოკითხვას ატარებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, რომელიც გამოკითხვის შედეგების შეჯერების შემდეგ იღებს შესაბამის ქმედით ღონისძიებებს, საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებაში.
6. საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების შედეგები გათვალისწინებული უნდა იქნეს საგანმანათლებლო პროგრამის მოდიფიცირებისას.

მუხლი 20. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული არჩევანის გამჭვირვალობა

1. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო დისციპლინების არჩევანის გამჭვირვალობის მიზნით, სტუდენტს შეუძლია და აქვს საშუალება გაეცნოს საგანმანათლებლო (კურიკულუმი) და სასწავლო კურსის პროგრამებს (სილაბუსი);
2. კურიკულუმების და სილაბუსების გაცნობა შესაძლებელია კოლეჯის ვებ-გვერდზე (საგანმანათლებლო პროგრამები და კატალოგი);
3. სტუდენტს სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობიდან გამომდინარე, სემესტრის დაწყებამდე, შეთავაზებული არჩევითი საგნების მოდულიდან გააკეთოს არჩევანი;
4. სტუდენტის მიერ გაკეთებული არჩევანის დარეგისტრირების ფორმებია:
 - ა) ვებ-გვერდი (რეგისტრაცია);
 - ბ) პირადი განცხადება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის სახელზე;

მუხლი 21. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსები

1. საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება კოლეჯის პროფესორებისა და მოწვეული ლექტორების მიერ.
2. საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელად ინიშნება კოლეჯის პროფესორი.
3. კოლეჯში პროფესორის აკადემიური თანამდებობის დაკავების წესი განისაზღვრება კოლეჯის დებულებით.
4. მოწვეული პერსონალის კოლეჯში მიღება ხდება შრომის კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

მუხლი 22. სტუდენტის უფლებები

1. სტუდენტს უფლება აქვს მიიღოს მისი ინტერესების შესაბამისი ხარისხიანი უმაღლესი განათლება, აქტიურად იყოს ჩართული კოლეჯის ყოველდღიურ საქმიანობაში.
2. დაუშვებელია სტუდენტების აკადემიური თავისუფლების, აგრეთვე „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით აღიარებულ სტუდენტის უფლებებში შეზღუდვა, თუ იგი არ ემსახურება სასწავლო პროცესის ორგანიზაციული საკითხების გადაწყვეტას, მაღალი ხარისხის სწავლების, დისციპლინისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფას, ან არ არის მიმართული ამ დებულებით დადგენილი კოლეჯის მიზნებისა და პრინციპების საწინააღმდეგო საქმიანობის აღკვეთისათვის.
3. კანონმდებლობითა და კოლეჯის სამართლებრივი აქტებით დადგენილ უფლებების გარდა კოლეჯის სტუდენტი უფლებამოსილია:
 - ა) მოსთხოვოს კოლეჯის ადმინისტრაციას კანონმდებლობით, კოლეჯის სამართლებრივი აქტებით, სტუდენტთან დადებული ხელშეკრულებითა და საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულება;
 - ბ) მიიღოს მონაწილეობა საგანმანათლებლო დაწესებულების აქტივობებში, ისარგებლოს კოლეჯის სასწავლო და დამხმარე რესურსით, საბიბლიოთეკო, საინფორმაციო და სხვა საშუალებებით;
 - გ) მიიღოს კოლეჯის ადმინისტრაციისგან ინფორმაცია თავისი უფლებების, საგანმანათლებლო პროგრამებისა და კოლეჯის სხვა რესურსების შესახებ;
 - დ) თავისუფლად გამოხატოს საკუთარი აზრი და დასაბუთებული უარი თქვას იმ იდეათა გაზიარებაზე, რომელსაც სთავაზობენ სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას;
 - ე) დადგენილ ვადაში აირჩიოს საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი კომპონენტები, ან მონაწილეობა მიიღოს ინდივიდუალური საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებაში, კანონმდებლობით დადგენილი შეზღუდვების გათვალისწინებით;
 - ზ) მიიღოს მონაწილეობა კოლეჯის მიერ განხორციელებულ აკადემიური პერსონალისა და სასწავლო პროცესის შეფასებაში;

მუხლი 23. სტუდენტის მოვალეობები

კოლეჯის სტუდენტი ვალდებულია:

- ა) დაიცვას კანონმდებლობის, კოლეჯის დებულების, კოლეჯის სხვა სამართლებრივი აქტების მოთხოვნები და შინაგანაწესი;
- ბ) შეასრულოს საგანმანათლებლო პროგრამით დადგენილი აკადემიური მოთხოვნები;
- გ) შეასრულოს კოლეჯთან დადებული ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;

მუხლი 24. სასწავლო ხელშეკრულება

1. კოლეჯი სტუდენტთან დებს სასწავლო ხელშეკრულებას.
2. სასწავლო ხელშეკრულება იდება მთელი სწავლების პერიოდის ვადით.
3. დაუშვებელია სასწავლო ხელშეკრულებით გათვალისწინებული სწავლების ფასის გაზრდა სწავლების პერიოდის განმავლობაში.
4. სასწავლო ხელშეკრულება ხელმოწერილი უნდა იყოს უშუალოდ სტუდენტის მიერ, თუ სტუდენტი 18 წლის ასაკს მიუღწეველი პირია ხელშეკრულებას ხელს აწერს მისი კანონიერი წარმომადგენელიც.
5. სასწავლო ხელშეკრულება შესაბამისად ფორმდება ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად, ერთი ეგზემპლარი რჩება კოლეჯს და იდება სტუდენტის პირად საქმეში, ხოლო მეორე გადაეცემა სტუდენტს.

მუხლი 25. საგანმანათლებლო პროგრამების აღიარების ზოგადი პრინციპები

1. საგანმანათლებლო პროგრამის აღიარება გულისხმობს კოლეჯში ჩარიცხული სტუდენტის მიერ სხვა საგანმანათლებლო პროგრამის/პროგრამების ფარგლებში მიღწეული სწავლების შედეგების შედარებას კოლეჯის იმ პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო დისციპლინებთან, რომელზედაც სტუდენტი აგრძელებს სწავლას, რის საფუძველზეც კოლეჯი იღებს გადაწყვეტილებას სტუდენტის მიერ სხვა საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღებული კრედიტების თავისი საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებისათვის აღიარების შესახებ.
2. საგანმანათლებლო პროგრამის აღიარების პროცედურის განხორციელების საფუძველზე კოლეჯი განსაზღვრავს, საგანმანათლებლო პროგრამის რომელ დონეზე განაგრძობს სტუდენტის სწავლას და რამდენი კრედიტის დაძლევა არის აუცილებელი შესაბამისი კვალიფიკაციის მისაღებად.
3. აღიარებას ექვემდებარება:
 - ა) საქართველოს აკრედიტებული/აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების პროგრამები.
 - ბ) არაკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების ის ნაწილი, რომელიც, კანონმდებლობით დადგენილი წესით, აკრედიტებულად ითვლება.
 - გ) უცხო ქვეყნის კანონმდებლობით აკრედიტებული ან აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების პროგრამები.

მუხლი 26. საგანმანათლებლო პროგრამის აღიარების პირობები

1. დაუშვებელია იმ საგანმანათლებლო პროგრამის აღიარება, რომლის დასრულების შედეგად სტუდენტს მინიჭებული აქვს შესაბამისი კვალიფიკაცია, გარდა ამ მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი შემთხვევებისა.
2. ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამით სწავლის გაგრძელების შემთხვევაში კოლეჯი აღიარებს სტუდენტის მიერ დიპლომირებული სპეციალისტის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში გავლილ კრედიტებს, მიუხედავად იმისა, მიენიჭა თუ არა პირს შესაბამისი კვალიფიკაცია.
3. აღიარებას არ ექვემდებარება პროგრამები, რომლებიც, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, არ განეკუთვნება უმაღლესი განათლების პროგრამებს, აგრეთვე უმაღლესი განათლების ის პროგრამები,

რომლებზეც ჩარიცხვა არ განხორციელებულა კანონმდებლობით დადგენილი წესით (არააკრედიტებული და თავისუფალი მსმენელის პროგრამები).

მუხლი 27. საგანმანათლებლო პროგრამის აღიარების წესი

1. პროგრამის აღიარება ხდება სტუდენტის მოთხოვნისა და მის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე.
2. პროგრამის აღიარება შესაძლებელია განხორციელდეს სტუდენტის პირადი საქმის (აკადემიური ცნობის) შესწავლით, აგრეთვე შესაძლებელია მოიცვას სტუდენტის მიერ გავლილი საგნების ამსახველი დოკუმენტაციის (კურიკულუმი, სილაბუსები) შინაარსობრივი კვლევა.
3. საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების ამსახველი დოკუმენტების წარმოდგენის ვალდებულება ეკისრება სტუდენტს. სათანადო დოკუმენტაციის წარმოდგენლობის შემთხვევაში კოლეჯი უფლებამოსილია უარი უთხრას სტუდენტს საგანმანათლებლო პროგრამის აღიარებაზე.
4. პროგრამის აღიარების დროს ხდება პირის მიერ სხვა საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების შედარება კოლეჯის საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო დისციპლინებთან, რომლის საფუძველზეც კოლეჯი აღიარებს თავისი სასწავლო დისციპლინებით გათვალისწინებულ კრედიტებს.
5. აღიარებას ექვემდებარება სტუდენტის მიერ წინა საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში გავლილი ის სასწავლო დისციპლინები, რომელთა შესწავლის საგანი და სწავლის შედეგები იდენტურია, ან მთლიანობაში მსგავსია კოლეჯის საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული დისციპლინის სწავლის შედეგებისა.
6. პირის მიერ გავლილი საგნები, რომლებიც არ არის გათვალისწინებული კოლეჯის პროგრამით, შესაძლებელია აღიარებული იქნეს, როგორც არჩევითი სასწავლო დისციპლინები, იმ შემთხვევაში თუ კოლეჯის საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს არჩევით კომპონენტს.

მუხლი 28. საგანმანათლებლო პროგრამის აღიარების შედეგები

1. პროგრამის აღიარების შედეგად განისაზღვრება კრედიტების რაოდენობა, რომელსაც სტუდენტს უღიარდება ახალი საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებისათვის.
2. კრედიტების აღიარების შედეგად განისაზღვრება კოლეჯის საგანმანათლებლო პროგრამის რომელი დონიდან აგრძელებს სწავლას სტუდენტი.
3. ნულოვანი შესაბამისობა პირის მიერ გავლილი პროგრამისა და კოლეჯის პროგრამას შორის არ ართმევს ამ პირს უფლებას ჩარიცხოს მიმდებ დაწესებულებებში. ასეთ შემთხვევაში იგი ვალდებულია სრულად გაიაროს კოლეჯის შესაბამისი პროგრამა.

მუხლი 29. საგანმანათლებლო პროგრამის დასრულება და კურსდამთავრებულისათვის კვალიფიკაციის მინიჭება

1. საგანმანათლებლო პროგრამა დამთავრებულად ითვლება, თუ სტუდენტი დააგროვებს:
 - ა) საბაკალავრო პროგრამაზე – არანაკლებ 240 კრედიტს.
2. სტუდენტს ბაკალავრის კვალიფიკაცია მიენიჭება საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო დისციპლინებიდან არანაკლებ 240 კრედიტის დაგროვების შემთხვევაში.
3. სწავლის შესაბამისი საფეხურის გავლის შემდეგ პირს ენიჭება შესაბამისი კვალიფიკაცია და ეძლევა კოლეჯის დირექტორის მიერ დამტკიცებული და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და ასევე

საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებული დადგენილი ფორმის დიპლომი, თავისი დანართით.

მუხლი 30. სწავლის საფასური

1. კოლეჯში სასწავლო პროგრამის ღირებულებას განსაზღვრავს კოლეჯის დირექტორი.
2. სწავლის საფასურის გადახდა ხდება სემესტრულად, ადმინისტრაციული რეგისტრაციისათვის დადგენილ ვადებში;
3. სახელმწიფო გრანტით ნაწილობრივი დაფინანსების მქონე სტუდენტებმა სახელმწიფო დაფინანსებასა და სწავლის რეალურ საფასურს შორის სხვაობა უნდა დაფარონ ადმინისტრაციული რეგისტრაციისათვის დადგენილ ვადებში;
4. სტატუსს შეჩერებული სტუდენტისათვის სწავლის გაგრძელების უფლების მინიჭების შემთხვევაში, სწავლის საფასური განისაზღვრება სწავლის გაგრძელების მომენტისათვის მოქმედი ტარიფით. თუ მოქმედი ტარიფი ნაკლებია ხელშეკრულებით დადგენილ სწავლის საფასურზე, სტუდენტი ვალდებულია გადაიხადოს ხელშეკრულებით განსაზღვრული სწავლის საფასური.
5. პირმა, რომელსაც შეუწყდა სტუდენტის სტატუსი, აღდგენის შემთხვევაში უნდა განაახლოს ხელშეკრულება კოლეჯთან. სწავლის საფასური ამ შემთხვევაში განისაზღვრება სტუდენტის სტატუსის აღდგენისას დადგენილი ტარიფით;
6. სტუდენტს უფლება აქვს, სასწავლო პროცესის დაწყებიდან არაუმეტეს 1 კვირის ვადაში მოითხოვოს ადმინისტრაციული რეგისტრაციის გაუქმება. აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ იგი კარგავს გადახდილი თანხის დაბრუნების, ან მისი მომდევნო სემესტრებში გამოყენების მოთხოვნის უფლებას;
7. სტუდენტის მიერ ადმინისტრაციული რეგისტრაციის გავლა ნიშნავს მის მზაობას მონაწილეობა მიიღოს სასწავლო პროცესში, შესაბამის სემესტრულ – შუალედურ და დასკვნით გამოცდებში. აკადემიური რეგისტრაციის გაუქმების ან არჩეული საგნის შეცვლის მოთხოვნა დასაშვებია სასწავლო პროცესის დაწყებიდან 2 კვირის ვადაში, რის შემდეგაც დაუშვებელია მომსახურების მიუღებლობის მოტივით გადახდილი თანხის დაბრუნების ან მისი მომდევნო სემესტრებში გადატანის მოთხოვნა.

მუხლი 31. დამატებითი სემესტრის გავლა

1. სტუდენტს, რომელმაც საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრულ ვადებში ვერ მოიპოვა შესაბამისი აკადემიური ხარისხი, უფლება ეძლევა თვითდაფინანსების გზით დაასრულოს სასწავლო პროგრამა მომდევნო, არა უმეტეს ოთხი სემესტრის განმავლობაში;
2. დამატებითი სემესტრის სტუდენტს სწავლის საფასური განესაზღვრება სემესტრული გადასახადის შესაბამისად;
3. სტუდენტს, რომელიც დამატებითი სემესტრებით გათვალისწინებულ ვადებშიც ვერ დააგროვებს შესაბამისი აკადემიური ხარისხის მინიჭებისათვის საჭირო კრედიტებს, უწყდება სტუდენტის სტატუსი და იძენს კურსმოსმენილის სტატუსს, რომელიც დასტურდება აკადემიური ცნობით.

მუხლი 32. გამოცდების ჩატარების წესები

კოლეჯში გამოცდების ჩატარების წესი რეგულირდება დებულებით „გამოცდების ჩატარების შესახებ“, რომელსაც ბრძანებით ამტკიცებს კოლეჯის დირექტორი.

მუხლი 33. გარდამავალი დებულებები

1. 2010 წლის 1 სექტემბრამდე შპს ინტერბიზნესის კოლეჯში ჩარიცხულ პირებზე ვრცელდება 2010 წლის 1 სექტემბრამდე მოქმედი სამართლებრივი რეჟიმი

2. კოლეჯის მიერ ავტორიზაციის გავლის სამართლებრივი შედეგები არ ვრცელდება ამ დაწესებულებაში ავტორიზაციის გავლამდე ჩარიცხულ პირებზე. მათზე ვრცელდება ავტორიზაციის გავლამდე მოქმედი, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სამართლებრივი რეჟიმი. კოლეჯში ჩარიცხული პირების მიერ მიღებული უმაღლესი განათლების სახელმწიფო აღიარებას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვის შემთხვევაში ახორციელებს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი პირობებით. კოლეჯში ჩარიცხული პირების მიერ მიღებული უმაღლესი განათლების სახელმწიფო აღიარების პირობები და საფასური დგინდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

მუხლი 34. დასკვნითი დებულებები

1. წინამდებარე წესს ბრძანებით ამტკიცებს კოლეჯის დირექტორი.
2. წინამდებარე წესში ცვლილებების შეტანა ხორციელდება კოლეჯის დირექტორის ბრძანებით.
3. ძალადაკარგულად გამოცხადდეს შპს კომპანია „ინტერბიზნესის“ აკადემიის მმართველი დირექტორის 2010 წლის 11 სექტემბრის # 01-22 ბრძანებით დამტკიცებული შპს კომპანია „ინტერბიზნესის“ აკადემიის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი.
4. წინამდებარე წესი ძალას კარგავს ახალი წესის მიღების შემთხვევაში, რომლითაც ძალადაკარგულად იქნება გამოცხადებული წინამდებარე წესი.